ჩვენი ხალხის

განათლება, ხელოვნობა და მეცურნეობა

ქვემო ქართლელისა

გამოცემა

ზ. ჯიჯინაძისა.

ტფილისი

~~[illegible]~~ ტ. ჭუთათელაძისა, ნიკ. ქუჩა № 21.

1902

ჩვენის ხალხის განათლება, ხელოვნება და მეურნეობა.

„ხალხს მხოლოდ განათლებით შეუძლიან გამდიდრდეს
და გონიერად გამოიყენოს თავის შრომის ნაყოფი“.

ლავლეი.

„ცოდნა არს ძლიერება ანუ ძალა“.

ბეკონი.

„იგი არს საძირკველი ხალხის კეთილდღეობისა“.

ვიეერშამ.

I

საითკენაც მიდგება და მოდგება კაცი, ყველგან ესმის გაცხარებული ლაპარაკი სასოფლო სასწავლებლების გამართვის თაობაზე. „სასწავლებელი გვინდაო. ჩვენ ხალხს თუ სასწავლებლები არ გაუმართეთ, ცუდათ იქნება მისი საქმეო“. სასწავლებლები, სასწავლებლები და კიდევ სასწავლებლები—აი სიტყვები, რომლებსაც ძრიელ ხშირათ იმეორებს ეხლა ჩვენი საზოგადოება; მაგრამ ისე ხშირათ კი არა, როგორც რვა წლის წინეთ. მაშინ თითქმის დიდი და პატარა იმ კაცების წრიდამ, რომლებიც სიტყვით ხალხის კეთილ-დღეობის მოყვარენი იყვნენ და საქმით კი არა, დიდს მღელვარებაში იყო სასწავლებლის თაობაზე. ბევრს მოხუცს კაცს, რომელიც, მინამ ბატონ-ყმობა გადავარდებოდა, სწუწნიდა ხალხს და სხვა და სხვა სახსრებით ისაკუთრებდა ხალხის ნაშრომს, მხოლოთ სასწავლებელიღა ჰქონდა სალაპარაკოთ. ზოგიერთები ცარიელ ლაპარაკს არ სჯერდებოდნენ. ესენი მთავრობის მინდობილობით დააქროლებდნენ ცხენებს ქართლსა და კახეთში, რომ რა არის სასწავლებლები გაემართათ. ამათ კიდევაც გამართეს, მაგრამ როგორი სასწავლებ-

ლები? ისეთი სასწავლებლები, რომლების დღეგრძელობა მოუფიქრებელი საქმე იყო. ერთი მითხარით, რა ხეირი უნდა ჰქონოდა სასწავლებელს, როდესაც ისინი იმართებოდნენ იმისთვის კი არა, რომ მათის შემწეობით ხალხი ფეხზე წამოაყენონ, თვალები აუხილონ, ჭკუა-გონება მოძრაობაში მოუყვანონ და აჩვენონ ნამდვილი გზა ცხოვრებისა: არამედ იმისთვის რომ ეს „მოდა“ გახლდათ, რომ სასწავლებლის გამართვით კაცი ჯილდოს ადვილათ მიიღებდა და განათლებულ კაცების წრეშიაც ჩაეწერებოდა. რამდენმა მღვდელმა გამოიკრა სხვა და სგვა ჯილდო? მგზავრი საქართველოს ბევრ კუთხეში შეხვდება მღვდელს ვერცხლის საათით, რომელიც მიუღია მას მისთვის, ვითომ დიდი შრომა ეხმაროს სასწავლებელის დადგინებისათვის. თუმცა კი, როგორც ბოლოს გამოჩნდა, არც ერთს იმათგანს, რომელნიც ჯილდოების გულისათვის ხალხის განათლების ასპარეზზე ფრიალებდნენ, არავითარი შრომა არ უხმარიათ სასწავლებლის საკეთილოდ. გული მოუკვდება კაცს, როცა ეაცი წარმოიდგენს მას, რასაც ეს ვაჟბატონები ჰსჩადიოდნენ ქვეყნისა და მთავრობის თვალის ასაბმელად. ყოფილა მაგალითები, რომ მთავრობის მინდობილობით დიდი კაცი მისდგომია კარს ერთს ვისმე მღვდელს, სასწავლებლის მოთავეს—სასწავლებლის გასასინჯავად. ეს უკანასკნელი ერთის ფაცა-ფუცით დატრიალებულა, მოუგროვებია პატარა ყმაწვილები თავის სახლში; მცოდნე ყმაწვილები დაუსხამს წინა სტოლებზე; გვერდით მოუსხამს თავის შვილებიცა. აი შებძანებულა დიდი კაცი ამგვარად ხელდახელ მომზადებულ სასწავლებელში. მღვდელი მასწავლებელი ერთს თავის შვილს აკითხებს ანბანს; მეორეს ათქმევინებს ლოცვებს; ბოლოს დროს თვითონ თავის შეგირდებით ამბობს გალობას. დიდ-კაცი აღტაცებაში მოდის და ჰპირდება მღვდელს შრომისათვის ჯილდოს. ამ სურათით არ თავდება კიდევ საქმე. „ფოფოდაც“ (მღვდლის ცოლი) თავს მოუყრის აქედ-იქიდამ პატარა ქალებს, აგროვებს თავის ნაც-

ნობებში სხვა და სხვა ნაკერავებს და ნაქსოვებს და ამ რიგად ამასაც დიდი კაცი აღტაცებაში მოჰყავს. წამობრძანებულა თუ არა დიდი კაცი და სასწავლებელიც დახშულა და მოსპობილა. მეორე დღეს სასწავლებლის კვალიც არსად ეტყობა. მაგრამ სულიერი მამა კი შეგირდების სიას არ ანებებს თავს და ყოველ წელიწადს ანუ ყოველ წლივ წარუდგენს ხოლმე მთავრობას, რომ რა არი მისი განუწყვეტელი ღვაწლი იქონიოს თვალწინ. ეს კიდევ ცოტაა. როგორც შარშანწინ გამოძიებამ გამოაჩინა, ბევრ მღვდელს კახეთისაკენ მთავრობისაგან ჯამაგირი უღია მასწავლებლობისა და სასწავლებელი კი არსად ქონია. დაუმატეთ ამას ისიც, რომ თავად-აზნაურობის წრიდამ ზოგიერთი კერძო პირები კაცთმოყვარეობაზე თავსა სდებდნენ და ადგენდნენ კერძო საზოგადოებებს იმ იზრით, რომ სასწავლებელნი გაემართათ. ესენი ყველას ვინც კი სასწავლებელზედ ლაპარაკობდა, კაცთ-მოყვარეთა სთვლიდნენ. ამათი დებიც, რომლებსაც ცოტაოდენი განათლება მიეღოთ და უნდოდათ განათლებულ ქალებათ შერიცხულიყვნენ, ზაფხულობით რამდენსამე დღეს მუხლის გვერდზე მოისხამდნენ ხოლმე პატარა სოფლის ქალებს და წერა-კითხვას ასწავლიდნენ. მაგრამ რადგანაც სწავლება ადვილი საქმე არ არის, ამისათვის ჩვენი განათლებული ქალები მალე ბეზრდებოდნენ და საქმეს მამავლის წლისათვის გადაჰსდებდნენ ხოლმე.

ერთის სიტყვით, ხალხის სასწავლებელზე მზრუნველობა, ხალხის განათლებაზე ფიქრი და მეცადინეობა, ერთი ფართიფურთით ლაპარაკი იმაზე, რომ ხალხი გაუნათლებელია და სასწავლებლებით უნდა განათლდეს; ერთი ოხვრა და გულის შემატკივრობა ხალხის უვიცობისა და უმეცრებისა გამო—ყველა ეს აღელვებდა ამ შვიდის წლის წინეთ ჩვენში ბევრ მოხუცს და ყმაწვილს კაცსაც. მაგრამ ეს ბევრი მოხუცი თუ ყმაწვილი კაცნი ჰქადაგებდნენ ზემოთ მოყვანილს აზრებს იმისთვის კი არა რომ მართლა სულითა და გულით სდომებოდათ ხალხის წინ წაწევა; რომ ცხადი წარმოდგენა ჰქონო-

დათ იმისა; რომ თვითონ ისინი შეადგენდნენ ხალხის ნაწილს; რომ იმათი ბედი და უბედობა ხალხის ბედსა და უბედობასთან ჩართული და გადაბმულია. ესენი ჰქადაგებდნენ და ღელავდნენ იმისათვის, რომ (როგორც ზემოთ ვთქვით) ხალხის განათლებაზე ლაპარაკის „მოდა“ იყო და ხომ იცი, მკითხველო, თუ რანაირი მოქმედება აქვს მიბაძვას ჭკუით და გონებით მოუმზადებელ კაცზედ. ამას ისიც დაუმატეთ, რომ თავად-აზნაურობას თავისი სარგებლობა ჰქონდა, როდესაც ეს ჰქადაგებდა გლეხების განათლებას, რა სარგებლობაა? იკითხამ მკითხველო. აი რა სარგებლობა. ჩვენ ვიცით, რომ მინამ ბატონ-ყმობა გადავარდებოდა, მინამ ჩვენ ხალხს დაუღგებოდა 1864 წ., გლეხები შრომობდნენ, წელებზედ ფეხს იდგამდნენ, რომ რა არი, დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ბატონები. ეს უკანასკნელები კიდევ თავიანთი მხრით ესარჩლებოდნენ თავიანთ გლეხებს და არავის აჩაგვრინებდნენ. აბა ერთი მოიგონეთ, თუ რა დიდი გული ჰქონდათ მუხრან-ბატონის კაცებს, ანუ რომელიმე მძლავრ ბატონის კაცებს. რისათვის? ამისთვის, რომ მძლავრი ბატონი ყოველგან დაეხმარებოდა თავის გლეხს და არავის დააჩაგვრინებდა. მაშინ ასეთი წესი იყო. თვითონ მებატონე თუმცა სჩაგრამდა თავის გლეხს, უმწარებდა ცხოვრებას, ლუკმას პირიდამ ართმევდა, მაგრამ ცეცხლს კი გადიყრიდა თავზე, თუ ვინმე სხვა გაჰბედამდა და მის გლეხს ხელიდამ რასმეს წაგლეჯდა. ბატონის ამ გვარი საქციელი არ იყო საკვირველი. რადგანაც ის გლეხს უცქეროდა ისე, როგორც თავის ლუკმას და ამისათვის არავის აძლევდა ნებას ამ ლუკმის გამოღრღნისას. აი ბატონ-ყმობა გადავარდა; გლეხები განთავისუფლდნენ. ბატონები, რადგანაც ჩვეულნი იყვნენ თავიანთ ყმებზე მზრუნველობას, რასაკვირველია, უნდა რითიმე კიდევ გამოეჩინათ, გამოეცხადებინათ თავიანთი მფარველობა გლეხებზე. ესენი ასეც მოიქცნენ, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ. ზოგიერთი ბატონები ჰქადაგებდნენ ხალხის განათლებას, მის ფეხზე წამოყენებას; მაგრამ ამათ

მფარველობას, ამათ გულშემატკივრობას გლეხის მდგომარეობისადმი ბატონური ხასიათი ჰქონოდა და ამისთვის არ შეიძლო და ვერც შეჰსძლებდა, რომ ხალხისათვის სარგებლობა მოეტანა.

ასე, ჩვენის სოფლის სასწავლებლებს მფარველებათ ჰყვანდნენ ამ შვიდის წლის წინეთ ერთის მხრით თავად-აზნაურობა, მეორეს მხრით სამღვდელოება. რაც შეეხება გლეხობას, ხალხს, რომლისათვისაც ჰმართავდნენ სასწავლებლებს, ეს გულ-მშრალათ უცქეროდა თავის მფარველების მოქმედობას. ეს იყო მიზეზი, რომ გლეხები თავიანთ შვილებს აგრე რიგათ არ ჰგზავნიდნენ სასწავლებლებში, რომლებიც რაღაც მანქანების ძალით ხან ჩნდებოდნენ ხან კიდევ ჰქრებოდნენ. მაგრამ ზოგიერთი მფარველისათვის რომ გეკითხნა, ხალხი რა მიზეზით არ იღებს მხურვალე მონაწილეობას სასწავლებლების გამართვაში, გეტყოდა: „ბატონო, გლეხები ბრიყვები არიან, არა ესმით რა; პირუტყვები არიან სრულებით. ვეუბნებით: „სასწავლებელი გინდათ, უნდა განათლდეთ“. ახლა რა პასუხს გვეუბნებიან? „ჰოო, ბატონო, შკოლა საჭიროა“, მაგრამ გვშორდებიან და ყველაფერი ავიწყდებათ. მაგრამ ყველა ეს ახსნა ყმაწვილურია,—და ხალხის გულ-მშრალობას განათლებაზე აქვს და ჰქონდა საზოგადობრივი მიზეზი.

როგორც ზემოთ შევნიშნე, ეხლაც ლაპარაკობენ სასწავლებლებზე, ეხლაც მართვენ; მაგრამ ეხლანდელს ლაპარაკს სასწავლებლებზე აქვს სრულებით სხვა ხასიათი და ამისათვის ეხლანდელი სასოფლო სასწავლებლები დიდათ განირჩევიან უწინდელ სასწავლებლებისაგან, რომლებიც განქრნენ რაღაც მანქანების ძალით დედამიწის ზურგიდამ. რა ხასიათი? იკითხავს მკითხველი და აი ამის პასუხი: ეხლა მომატებული ნაწილი იმ კაცებისა, რომლებიც კი მიდრკიან შკოლების გასავრცელებლად, შეადგენდნენ ხალხის სისხლს და ხორცს; იგინი არაფრით არ განირჩევიან ხალხისაგან. იგინი არიან მათი გულშემატკივარნი. ხალხს ეს კარგათ ესმის და აბა წარმოიდგი-

ნეთ, თუ რა ბეჯითობით, რა გამრჯელობით, რა თავ-განწირულობით გლეხები ერთმანეთში ფულს აგროვებენ, რომ რა არი სასწავლებლები გაიმართონ. ერთის წლის განმავლობაში რამდენიმე სასწავლებელი გაიხსნა კახეთში და იცით ვის ხარჯზე? ხალხის ოფლით ნაშოვარ ხარჯზე. ხალხი თითქმის ასე ეუბნება თავის მოწინავე კაცებს: „ჩვენ თვითონ თავი არა გვაქვს სასწავლებლების გამართვისა და ამ საგნისა არაფერი არა გვესმის-რა, ჩვენ უთაურები ვართ. ჩვენ მხოლოდ ვგრძნობთ, რომ სწავლა გვინდა; ქვეყნიერების შეტყობა საჭიროა ჩვენთვის, და თუ ჩვენ ასე უსწავლელნი დავრჩით, კიდევ რამდენიმე წელიწადს, მაშინ მიწასთან გავსწორდებით: ეს ჩვენი მშვენიერი მიწა-წყალი სხვებს დარჩებათ და ჩვენ კი პირში თით-გამოვლებული ვიტოტიალებთ ამ დედა-მიწის ზურგზე. ამისათვის ჩვენ მზათ ვართ სახლებიც ავაშენოთ სასწავლებლებისათვის და ჯამაგირიც ვაძლიოთ მასწავლებლებს; მხოლოდ კი თქვენ ყველამ თავოსნობა გაგვიწიეთ ამ საქმეში, ამოგვირჩიეთ მასწავლებლები და მოგვიწყეთ შკოლები“. მართლადაც როგორც ნამდვილათ შეტყობილი გვაქვს, ბევრ ადგილას სასწავლებლები არ არის მარტო იმ მიზეზით, რომ ხალხს თავი ერთათ ვერ მოუყრია, რომ რა არი დაადგინონ თავიანთი აზრი შკოლის დაფუძნებაზე და ამოირჩიონ მზრუნველები სასწავლებლის საქმის საწარმოებლად.—ისე კი ყველას დიდი სურვილი აქვს და მზად არის თავის მხრით ყოველივე შემწეობა აღმოუჩინოს სასწავლებელს—სასწავლებლების გამართვაში. მამასახლისებს შეეძლოთ დიდი მონაწილეობა მიეღოთ, მაგრამ საუბედუროთ ესენი არაფერს კისრულობენ და ამისათვისაც, თუმც ხალხს დიდი სურვილი აქვს განათლებისა, სასწავლებლების საქმე ასე ვერ მიდის, როგორც სასურველია, უნამეტნავესად ქართლში.

ამ სახით, ეხლა სასწავლებლების დაარსება, განათლების გავრცელება ხალხის და მის ნამდვილ კეთილ-მყოფელთა სურვილია და ამისათვის ეხლანდელ სასწსვლებლებს აქვთ საძირკვ-

ლათ დემოკრატიული ნიადაგი. ამათ მოელის ხანგრძლიობა, დიდი ხნობით მოქმედობა, თუ ეს ასეა, თუ ეხლანდელ სასწავლებლების გახსნა არის დაფუძნებული თვითონ ხალხის სურვილზე, მის მინდობილობაზე, მის საჭიროებაზე, მაშ რაღა კითხვა უნდა. რომ ხალხის ყველა გულის შემატკივარი, ვისაც კი ცოტა რამ გაეგება, ვისაც კი შეუძლიან კალმის ხელში აღება, ვალდებულია აი ეხლა დაეხმაროს სასწავლებლების ხასიათის განმარტებას.

II

ცხადია, რომ რასაც ხალხის სასარგებლოდ, მისის ყოფაცხოვრების გასამჯობინებლად, წინ-წასაწევად ჰმართვენ, ყოველს მას დიდი კავშირი უნდა ჰქონდეს ხალხის მოთხოვნილებასთან; იგი უნდა იყვეს პირდაპირ დადგენილი ხალხის მოთხოვნილებაზე, რომ სარგებლობა რამ მოიტანოს. თუ ეს ასეა, მაშ რაღა თქმა უნდა რომ სასოფლო სასწავლებლის, მომართვის, მოწყობილობის და დაფუძნების ჟამსაც კაცს უნდა ჰქონდეს თვალ-წინ ხალხის მოთხოვნილება და ყოფაცხოვრება. აი ეს აზრი იძულებულ გვხდის დაგიხატოთ ნათლად ჩვენი ხალხის ცხოვრება, რომ რა არის ნათლად წარმოვიდგინოთ სასოფლო სასწავლებელის ხასიათი.

ჩვენ არ გამოუდგებით ვრცელს აღწერას ხალხის ცხოვრების ყოველ მხარეებისას და არც საჭიროა. განა მოიპოვება ვინმე ჩვენ შორის, რომელმაც ბევრათ თუ ცოტათ არ იცოდეს ჩვენის ხალხის ცხოვრება? აქ ჩვენ საგნისათვის ისიც საკმაო იქნება, თუ წარმოვიდგენთ ხალხის ცხოვრების სურათს. მაშ ამ სურათის დახატვას შეუდგეთ.

აი პირ-ხმელი, ჭაღარა შერეული გლეხი. რვა დღის სახნავი მიწა აქვს. დღენახევრის ძველი ვენახი; და ერთის დღის ახალი ბაგა, რომელიც, დიდი ხანი არ არის, რაც უყიდნია ერთის თავადისაგან, ორის ურმის ხარ-კამეჩი ჰყავს. მუშაობაში არავის ჩამორჩება. დილით მოკიდებული საღამომდინ წელებზე ფეხს

იდგამს. თავის ოჯახის შვილებსაც ძრიელ ამუშავებს. რადგანაც ეს თავის სახლობითურთ ძრიელ გამრჯელია,—თავისი მამული არ ყოფნის და სხვის მიწებს ხნავს საღალედ. მოსავალი ყოველ წლივ კარგი მოზდის. ას კოდამდინ პური მოზდის, ორმოც კოდამდინ სიმინდი, ფეტვი და ქერი, ორმოც კოკამდინ ღვინო. ამას გარდა ეს პირ-ხმელა კაცი ხშირათ ატარებს ურმებს ქირაზე და აქედამაც ამას კარგი გამორჩომა აქვს. როგორც ხედავს მკითხველი ეს გვარიან საშოვარშია. მაგრამა აბა ჩავაცქერდეთ ამის ყოფა-ცხოვრებას. ჯერეთ სახლი გაუშინჯოთ, კალო, საბძელი და ბოსელი კარებ წინ აქვს. სახლის ერთის მხრით უყრია ნეხვი და მეორის მხრით ნაგავი. ნუ იფიქრებს, რომ მოხსენებულს ბლეხს ცოტა ადგილი ჰქონდეს კარ-მიდამოსათვის. არა, ამას ბევრი ადგილი აქვს; მ გრამ ყველაფერა ერთმანეთზე აქვს მიყრილი. კაცს ჰგონია ეს ბლეხი აქ მდგომი არ არისო.

შევიდეთ ახლა სახლში: როგორიც წესია კარ-მიდამოზე,—ისეთი ამ ქვიტკირის დარბაზშიაც, რომლების კედლებიც ძალზეა შემურული კვარის ბოლისაგან. იქ მაწვნის ქილები დკას, აქ ღვედები და ურმის მოწყობილება აწყვია; ერთ კუნჭულში გოდორზე შეჭვარტლული ლოგინი აწყვია; კერა ქათმებს გამოუძეძიათ და იქაურობა მოდებულია. აი ბავშვებიც ფეხშიშვლები და თავშიშველები, ერთის დაგლეჯილის და ჭუჭყიანის პერანგის ამარას გარბიან და შერბიან სახლში. დედამთილი და ორი რძალი რაღაცას ფუსფუსებენ. დედამთილი ფეხ-შიშველაა, აცვია ათასნაირი დაკონკილი კაბა და თავზე ხურავს ისეთი ჭუჭყიანი თავშალი, რომ კაცს ჰგონია ეს არი ეხლა აუღია სანაგვეზედაო. რძლებს თუმცა დაფხრეწილი კაბები არ აცვიათ, მაგრამ ამ კაბებს მგონი თავის დღეში არ ღირსებიათ გარეცხა. არც თავშალები ხურავთ მეტად სუფთები. მაგრამ რა უფრო აკვირვებს კაცს? ამათი დახეთქილი ფეხები. არც კაცებს აცვიათ კარგად. ჩვენს პირ-ხმელა და ჭაღარა შერეულ კაცს და მის ცოლიან შვი-

ლებს კი უყვართ ჩაცმა, მავრამა წლითი-წლამდინ თითო წყვილ ნიფხავ-პერანგში ირთმევენ კი სულს. ამათი ჩოხები, მიფხრეწილ-მოფხრეწილები, სრულებით არ ჩაიცმევა; მაგრამ მაშინ როდესაც ესენი დაგლეჯილ პერანგებში და უმზგავს ჩოხებში სულს ირთმევენ წლითი-წლამდინ, იმ დროს ამათ კედელზე უკიდიათ ოცდახუთ მანეთიანი ჩოხები, რომლებიც იქნება წელიწადში ორჯერ არ ჩაიცვან.—დედა-კაცებიც არ არიან უსაგარეო ტანისამოსით. ქვარტლიან სკივრებში ამათაც უწყვიათ ფარჩის კაბები და წნილისავებ ინახვენ: მხოლოდ დღეობებში იცმენ ხოლმე, რომ რა არი ხალხს დაენახვონ. ნუ იფიქრებ მკითხველო, რომ ამათი კუჭი მაინც უკეთეს მდგომარეობაში იყოს: წლითი-წლამდინ სულ ლობიოზე და სიმინდ ანუ ქერ-ნარევ პურზე არიან. მაგრამ თუ ბავშვი მონათლეს, ან ვინმე დააქორწილეს, მაშინ ესენი არაფერს არ დაზოგვენ. ერთ ქორწილში დახარჯვენ თითქმის ერთი წლის საზდოს. არც უბედურობის დროს არიან ხელ-მოჭერილნი. თავიანთის მკვდრის დასამარხავად ესენი არას ხარჯს არ მოერიდებიან და მთელ სოფელს შეჰყრიან. თუ მკითხავმა ურჩია სადმე წასვლა სალოცავად, მაშინაც არ დასტოვებენ თავიანთ კუჭს უპატიოთ. ასე ჩვენ პირ-ხმელა თავის ჯალაბითურთ ანუ ცარიელ პურზე და ლობიოზეა, ანუ კიდევ, როცა დროება მოიტანს, ყელამდინ ძღება და სხვებსაც აძღობს. —ამ უსწორ-მასწორობას, ოღრო-ჩოღრობას ჩვენი გლეხის ყოფა-ცხოვრებაში უნდა დავუმატოთ კიდევ შემდეგი: უვალო გლეხი კაცი ხომ ძნელად მოიძებნება და ამ ჩვენ პირ-ხმელა კაცსაც აქვს ვალი. ზოგი მამის დამარხვაზე დასდებია, ზოგი ქალის გათხოვებაზე, ზოგი კიდევ კამეჩების ყიდვაზე და სხვ. მართალია დიდი ვალი არ აქვს. ხუთმეტი ანუ ათიოდ თუმანი რა ვალია? მაგრამ სარგებელი ამ ფულისა დიდია.

ხუმრობა საქმე არ არის, თუმანზე ორი კოდი სარგებელია. ანუ თუმანზე კოკა ტკბილია. აი კალო გალეწა პირ-ხმელა გლეხმა და თავს წაადგა აბრამა ვაჭარი. დიმიტრო! პი-

რობაზე როგორა ხარ? როგორ უნდა ვიყვე. შენი პური მზად არის, — და უწყავს ათს კოდს პურს. აი კიდევ ყურძენი დასწურა და ეწვია ახლა სხვა მოვალე. დიმიტრო! მაძლევ თუ არა ტკბილს? კარგი იქნება ამ წელიწადს დამითმო, ბიჭს ვაქორწილებ, ეუბნება დიმიტრა. მოვალე უარს ეუბნება და გლეხი უწყავს ხუთ კოკა ტკბილს, ამაობაში ჩვენს პირ-ხმელა კაცს უმცირდება წლის მოსავალი, ვინ ჩამოსთვლის, თუ რანაირად ხელიდამ ეცლება ამას თავისი წლის საზრდო.

აი მეორე გლეხი. ამას ბატონის მიწა-წყალი უჭირავს, „ნადელში“ (წილად-ხდომილი მიწა) შეხვედრია ათის დღის მიწა, და ერთის დღის ვენახი; ცოტაოდენი ნასყიდობაც აქვს. ორი ურმის ხარ-კამეჩი ებმება, მუშაობაშიაც ეს პირ-ხმელა გლეხს არ დაუვარდება, მოსავალი ამასაც ნაკლები არ მოზდის; მაგრამ ამას უფრო ცუდი ყოფა-ცხოვრება აქვს და მეტი სატანჯველიც. ჯერ ეს ერთი, რომ რა წამსაც რთველი მოატანს, უწინდელი ბატონი ეწვევა და ერთი ორ კვირას ჩაუდგება სახლში, რომ რა არი თავის მეოთხედები გამოართვას. ეს არაფერი. ამას რაღაც დავა ჰქონია ბატონთან მამულის თაობაზე, დიდი ვალი დაზდებია თავის უცოდინარობისა გამო. აბაზის ადგილას მანეთი უხარჯავს, მანეთის ადგილას თუმანი და საქმე კი ვერ მოუგია. ეს ვალი ამასაც ძნელ საქმეს უშვრება.

აი კიდევ მესამე გლეხი. ამას არაფრისაგან არაფერი არ ბადია; მხოლოდ ბატონისაგან ჰრგებია ერთის სახლის ადგილი და ერთი კვალი ვენახი. ამას ნუ უკითხავთ ნურც საბძელს და ნურც ბოსელს. რაც შეეხება სახლს, ეს ხომ საკვირველი რამ არის? აი მიწის სახლი, რომელიც ძალზეა ჩამჯდარი დედა-მიწაში. კარები დასავლეთის მხრისაკენ აქვს და დიდი წვიმის დროს ნიაღვარი თავისუფლად შეუარ დება ხოლმე შინ. ერთი ბანი აქვს, ფანჯარაც ეს არის და ბუხარიც. ამ სახლის პატრონს ოთხი ბავშვი ჰყავს, ორი ვაჟი და ორი ქალი; სულ ექვსი სულნი ცხოვრობენ აღწერილ მიწის

სახლში. აქვე ჰყავთ პატრონებს ქათმებიც და ინდოურებიც. ამათი ცხოვრება ერთი რაღაც საცოდაობაა. ცარიელი მჭადიც კი სანატრელია, თორემ პურს ვინ იტყვის, ლობიოს ჭამასაც ათასში ერთხელ ეღირსებიან ისიც, როცა მეზობლები მოაწოდებენ. რაც შეეხება ჩაცმა-დახურვას, ეს ხომ სათქმელი არ არის. ერთი დაგლეჯილი ჩოხა თავისის შესაფერის პერანგით და მის ამხანაგით, აი ეს არის ტანსაცმელი სახლის უფროსისა. ბავშვები ხომ სრულიად თავ-შიშველები და ფეხ-შიშველები არიან, მხოლოდ დაძონძილი პერანგები აცვიათ. არც ბავშვების დედაა უკეთეს მდგომარეობაში. ამასაც დაკონკილებში და დაძონძილებში ამოსდის სული. ამათთვის არც ძილია ხეირიანი. კერას ახლოს უგიათ, ძველი ფარდაგი და ბავშვები ამ ფარდაგზე გოჭებისავით მოსწოლიან დედას ერთ ტურტლიან და დაგლეჯილის საბნის ქვეშ. ამათ მამას კიდევ კუნჭულში წაუგია რაღაც ჩული და ზედ თავისი ჩოხა წაუხურავს. ეს არის ამ საწყლების ყოფა-ცხოვრება.

ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ეს გლეხი ამ სიღარიბეშია თავისის ზარმაცობის წყალობით. უსინიდისობა იქნება, რომ კაცმა ამას ზარმაცობა დასწამოს. გათენდება თუ არა, საწყალი გლეხი ფეხზე ტრიალებს. დღეს ამას შველის სიმინდზე, ხვალ იმას ფულზე, ზეგ კიდევ სცდილობს ვალს. ერთის სიტყვით წელებზე ფეხს იდგამს, მაგრამ ვერას გამხდარა. ან რას გახდება? ზამთრით ამისათვის უძლეველიათ გაკეთებულ მეზობლებს სიმინდი მუშაობაზე, აი ეხლა ხცდილობს თავის ვალის გადახდას: აბაზათ შველის მოვალეებს დღეში, თუმც მუშა ათი შაურია, ასე რომ არ იყვეს, განა მუშა კაცი იმ გვარს სიღარიბეში ჩავარდება, რა სიღარიბეშიაც არის მოხსენებული გლეხი? ახლა დაუმატეთ ამას ისიც, რომ ესეც ქართველია და ამის გამო ეწყობა უადგილო ხარჯს. მაგრამ საიდამ ხარჯოს რომ არაფერი აქვს? ეს წყაროს მალე პოულობს. აი ბიჭი ჰყავს მოსანათლი, მიდის და მუშაობაზე ართმევს თავის მეზობელს პურს, ღვინოს და, თუ საჭიროა, ფულსაც. აგრეთვე ვჰსთქვათ, მოუკვ-

და ვინმე, მაშინვე თავის ერთ კვალ ვენახს უგირავებს ვისმე და ისე მარხავს თავის მკვდარს. რა წესებსაც ბიზდევს გაკეთებული გლეხი, იმავე წესებს მიზდევს ესეც და ამით სამუდამოდ ჰკარგავს ღონისძიებას—რომ როგორმე გამოვიდეს სიღარიბიდამ.

აი კიდევ სრულებით უმამულო კაცი. ეს ხომ საცოდავია და საცოდავი. ამას სახლის ადგილიც კი არსად აქვს. ერთ წელიწადს ერთის გლეხის ბოსელში დგას, მეორე წელიწადს მეორე გლეხის ბოსელში. ხან ერთი გამოაგდებს ბოსლიდამ და ხან მეორე და არის ერთ ცეცხლში. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამისი ჩაცმა-დახურვა, სმა-ჭამა უფრო უკანასკნელია მინამ ზემოთ მოყვანილის გლეხისა, თუმცა კი ესეც არავის ჩამორჩება მუშაობაში.

აი რა სურათებს წარმოგვიდგენს ჩვენის ხალხის ცხოვრება! აი რა ყოფა-ცხოვრებაშია ქართველი ხალხი, თუმცა კი თავ-წაღუნული მუშაობს დილით საღამომდინ! ქართველ გლეხს მოზდის-თუ არ მოზდის მოსავალი, მისთვის მაინც არც ხეირიანი ჩაცმა-დახურვაა და არც ხეირიანი სმა-ჭამაა. ბევრჯელ შევხვდებით გლეხს. რომელსაც ხუთას კოდობით პური და ას კოკობით ღვინო მოზდის, მაგრამ მაინც ამის ხიზანი იმავე დაუდევარ ცხოვრებაშია, რა დაუდევარ ცხოვრებაშიაც არის ღარიბის კაცის სახლობა, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ პირველს პური და ღვინო წლამდინ მიზდევს მეორეს კი არა.

რა არის ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი? საიდგან წარმოდგება, რომ გლეხები ასე ბევრს მუშაობენ, ზოგს მათგანს კარგი მოსავალიც მოჰყავს და ცარიელ პურზე (თუ ესეც აქვს), დაგლეჯილ ტანისამოსში და უხეირო სახლებში კი ირთმევენ სულს? ამას გარდა რომ გლეხს ბევრი მგლეჯავი ჰყავს და მგლეჯელების რიცხვი უთვალავია. ამას ღუპავს კიდევ უსწავლელობა, უქონლობა ეკონომიურის მოსაზრებისა და ის რომ აქამომდენ თავის ნამუშავარს არ აპყრობს ყურადღებას, რომ რა არი კარგის ღირსებისა იყვეს და ბაზარ-

ში კარგი ფასი ედოს. გლეხს უსწავლელობისა გამო, უჭირ-
დება ცოტა მამულში ბევრი მოიყვანოს და თუ კიდევ ბევრი
მამული აქვს და მოიყვანა ბლომათ მოსავალი, მაშინ ამ მო-
სავალს მიფლანგ-მოფლანგავს უბრალოდ და დაჯდება ცარიე-
ლი. ამას ხომ იმოდენა ცოდნა და გამოცდილება არა აქვს,
რომ თავისის შრომის ნაყოფი გონივრულად გამოიყენოს. თუ
ეს ასეა, მაშ რაღა თქმა უნდა, რომ ხალხის მხსნელად უნდა
გახდეს განათლება, რომელსაც შეუძლიან ნელ-ნელობით
დაბადოს გლეხში სურვილი თავის ნამუშევრის განკარგებისა
და შრომის ნაყოფი ცნობიერად და სიფრთხილით მოახმარე-
ბინოს. ხოლო განათლების გავრცელება ხალხში შესაძლოა
მხოლოდ სასწავლებლებით, რომლებიდგანაც თვითონ ხალხი
მოელის გამოცოცხლებას და ფეხზედ დადგომას.

III

ჩვენ ეხლა თვალ წინა გვაქვს ხალხის ცხოვრების სურა-
თები, რომლებზედაც ნათლად ეტყობა ხალხის საჭიროებანი;
ამისათვის ადვილი მისახვედრია, თუ რა ხასიათისანი უნდა
იყვნენ სასწავლებელნი, რომ რა არი მართლაც შეიძლონ
ხალხის გამოხსნა საძაგელ მდგომარეობიდამ.

სოფლის სასწავლებლების ხასიათზე, მათ მიმართულება-
ზე ჩვენს საზოგადოებაში შეხვდებით სხვა შეხედულობასაც
კარდა იმ უხეირო და არაფერზე დაფუძნებულ შეხედულო-
ბისა, რომელიც თხოულობს თავდა-პირველათვე რუსულის
ენის შესწავლას. ამ შეხედულობის მომხრეები ფიქრობენ,
რომ სასოფლო სასწავლებელმა უნდა გაავრცელოს ჩვენ ხალხ-
ში არა მხოლოდ წერა-კითხვა. არამედ ხელოსნობის და მეურ-
ნეობის ცოდნაც. ამათის აზრით სასოფლო სასწავლებელს
უნდა ჰქონდეს სავენახე ადგილი და იყვეს კარგად დახელოვ-
ნებული მეურნეობაში, ხელოსნობაში და, რასაკვირველია,
სწავლის გადაცემაში, რომ რა არი ასწავლოს მოწაფეებს
როგორც წერა-კითხვა, ისე ხელოსნობა და მეურნეობა.

ამ გვარ შეხედულობას სასწავლებელის საგანზედ ერთ დროს პირველი ადგილი ეჭირა როგორც მთელ რუსეთში, ისე ჩვენ სამშობლოშიაც. მაშინ თითქმის აღარავინ ეჭვნეულობდა, რომ სასოფლო სასწავლებელი ერთსა და იმავე დროს უნდა შესდგომოდა წერა-კითხვის, მეურნეობის და ხელოსნობის გავრცელებას ხალხში. ამ განზრახვით მაშინდელ საოსტატო სემინარიაში სხვათა შორის შეიტანეს დურგლობისა და ბოსტნეულობის სწავლაცა და ფიქრობდნენ, რომ მოხსენებულის სემინარიის მოწაფეები მოჰფინამდნენ მეურნეობას და ხელოსნობას საქართველოში.

თუ რად ეჭირა ამ გვარს შეხედულობის სასწავლებლის საგანზედ უპირატესი ადგილი და ყველა, როგორც პედაგოგები, ისე საზოგადოებაც ჰქადაგებდნენ მეურნეობის გავრცელებას სასწავლებლის შემწეობით, ეს ადვილი მისახვედრია იმისთვის, ვისაც თვალი უდევნებია რუსულის ლიტერატურისათვის. აბა მოიგონეთ აქ რა დრო იყო ამ რვა წლის წინეთ. მაშინ წერილი წერილზედ იბეჭდებოდა ჟურნალებში— უმეტესად ჟურნალში „Русское Слово“ მასზედ, რომ ბუნების-მეტყველების შესწავლა ხალხის კეთილ-დღეობისათვის ფრიად საჭიროა, რომ რუს კაცს ნიჭიერება აქვს მის შესწავლისათვის, რასაც თავის ხუთი გრძნობით ჰსცნობს და ბუნების მეტყველებაზედ კი არ აქცევენო ყურადღებას; რომ რუსეთი უნდა შეუდგეს მეურნეობას და ხელოსნობას და ამისათვის ყოველს კუთხეში უნდა მოიმართოსო ხელოსნური, მეურნეული და სხვა ამ გვარი საქმით გაწურთვნილი სასწავლებლებიო. (მოვიგონოთ აქ გარდაცვალებულის შჩაპოვის წერილები—უფრო „Народная Экономія“). მართალს ჰქადაგებდა რუსული ლიტერატურა თუ არა, ამის გასინჯვას ჩვენ აქ არ შევუდგებით და არც გვაქვს ეს განზრახვად. ჩვენ მხოლოდ აქ ის უნდა შევნიშნოთ, რომ ამ გვარის აზრების გამოთქმას მწერლობის მხრით ჰქონდა გავლენა პედაგოგებზე და სხვა პირებზედაც. ამათ ასეთი დასკვნა გამოიყვანეს.

ჩვენ ხალხისათვის მეურნეობაც და ხელოვნებაც საჭიროა, მაშ ეს საგნები უნდა შევიტანოთ სასოფლო სასწავლებელში, რომელმაც წერა-კითხვასთან მოხსენებული საგნებიც უნდა გაავრცელოს ხალხში. რასაც ფიქრობდნენ რუსეთში სასწავლებლის შესახებ, იმასვე ფიქრობდნენ ჩვენს სამშობლოშიაც და აი, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, საოსტატო სემინარიაში მოწაფეებს ასწავლიდნენ დურგლობას და ცოტაოდენა მეურნეობას, რო რა არის ამათ ბოლო დროს ხალხისათვის გადაეცათ თავიანთი ნასწავლი. მაგრამ საქმემ ნათლად გამოაჩინა, რომ მაგ სახით ხალხში მეურნეობის და ხელოსნობის გავრცელება შეუძლებელია. მთელ საქართველოში ერთი კაციც ვერ მოიძებნება, რომელსაც საოსტატო სემინარიის მოწაფისაგან ცოტათი მაინც შეესწავლა ხელოსნობა და მეურნეობა. ზოგიერთი ახირებული კაცები ამ გარემოებას სრულებით ყურს არ უგდებენ და კიდევ ლაპარაკობენ და სწერენ, რომ სასოფლო სასწავლებელში სხვათა შორის უნდა ასწავლიდნენ ხელოსნობას და მეურნეობას; რომ სასოფლო სასწავლებელს თავის საგნად უნდა ჰქონდეს როგორც წერა-კითხვის, ისე მეურნეობის და ხელოსნობის გავრცელება.

რასაკვირველია დიდად სასიამოვნო იქნებოდა ხალხის კეთილ-დღეობის ყოველს მსურველთათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წერა-კითხვასთან მეურნეობის და ხელოსნობის გავრცელებაც ხალხში; რომ თერთმეტისა და თორმეტის წლის ბავშვებს შესძლებოდათ სასწავლებელში იმ გვარად შესწავლა მეურნეობისა და ხელოსნობისა, რომ ბოლო დროს მოეხდინათ განვლენა თავიანთ დედ-მამებზე. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეგ შეუძლებელი საქმეა.—და ვინც ფიქრობს მაგ გზით განავრცელოს ჩვენ ხალხში ხელოსნობა, თუ მეურნეობა, იმას უნდა გაუმეღავნოთ, რომ ის შემცდარი ბრძანდება, ატყუებს თავისთავს. ეს კიდევ არაფერი — ის ატყუებს ხალხს და ხდება ბოსუხის მგგბ ლად შთამამავლობის წინაშე. მართლაც, ვის გაუგონია და სადა თქმულა, რომ თორ-

მეტის წლის ბავშვს შეესწავლოს მეურნეობა და ხელოსნობა? განა ამის აგებულებას შეუძლიან აიტანოს ხელეჩოს და შალაშინის ხმარება? განა ამის ჭკუა-გონება ადვილად მიხვდება, თუ რა დროს რა თესლეულობა უნდა დაითესოს, თუ რანაირად უნდა მოჰყავდეთ ყურძენი, თუ როგორ უნდა დასწურონ მაჭარი, რომ რა არი ბოლოს კარგი ღვინო დაუდგეთ?

ვიმეორებ, განა ბავშვებს შეუძლიანთ ყველა ამას ჯეროვანი ყურადღება მიაპყრან? გარდა ამისა, განა შესაძლებელი საქმეა, რომ ბავშვებს ოთხის წლის განმავლობაში ლაზათიანი წერა-კითხვა, საგნების თავდაპირველი კურსიც ისწავლონ და ამავე დროს დახელოვნდნენ კიდეც მეურნეობაში და ხელოსნობაში? ვთქვათ, რომ მანქანების ძალით ბავშვებს შეუძლიანთ ყოველი ეს ადვილად შეისწავლონ, ყოველს ამას მიხვდნენ, ყოველივე ეს იმათ აგებულობამ აიტანოს... განა შესაძლებელი საქმეა, რომ ვიშოვნოთ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც დახელოვნებულნი იყვნენ როგორც ცოდნის გარდაცემაში, ისე მეურნეობაში და ხელოსნობაში? თუ ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში და მიწათ-მუშაობის აკადემიაში (Земледѣльческая Академія) კურს დასრულებულები ვერაფერს ხდებიან, საქმით უხეიროდ იქცევიან და მხოლოთ ტყეების მცველად დგებიან, ნუ თუ საოსტატო ინსტიტუტის ანუ სემინარიის მოსწავლეებს შეუძლიანთ მეურნეობის საქმე ზედ-მიწევნით იცოდნენ!? მე მრწამს, რომ მწიგნობრებისაგან—ინსტიტუტის მასწავლებლებისაგან გაგონილი ექნებათ მათ, თუ ესა და ეს ხე ასე იმყნობა; ამა და ამა მცენარეს ესა და ეს ნიადაგი უნდა; ცერცვს და მუხუდოს ესა და ეს მიწა მოუხდება; კომბოსტოს ბევრი მორწყვა უნდა და სხვა მრავალი ამ გვარი ზეპირ-დარიგება. მაგრამ განა გაგონით და წიგნში ამოკითხვით შეუძლიან კაცს დახელოვნდეს მეურნეობაში? აგრეთვე განა ათასში ერთხელ შალაშინის გაკვრით შეუძლიან კაცს შეიქნეს მცოდნე დურგლობისა და

ახლა როგორი მცოდნე? ისეთი მცოდნე, რომელსაც შეეძ-ლოს თავი[illegible]შეგირდები მოუმზადოს ჩვენ ხალხს ხელოსნებად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ვინც კი ამ თქმულს ჩაკვირ-დება, ყველა ნათლად დაინახავს იმ შეხედულების უსაფუძ-ლობას, რომელიც თხოულობს ერთსა და იმავე დროს წერა-კითხვის, მეურნეობის და ხელოსნობის სწავლებას სასოფლო სასწავლებლისაგან. მაგრამ ამ შეხედულობის უსაფუძლობა და მისი მომხრეების შორ-გამჭვრეტელობა და დაუდევრობა უფ-რო ცხადი იქნება ყველასათვის, თუ მივაქცევთ ყურადღებას დასავლეთ ევროპიის სახალხო სასწავლებელს და მოკლეთ ვაჩვენებთ, თუ რა გზით დასდგა იმ ნიადაგზე, რომელზედაც ეხლა დგას.

რადგანაც ამ წერილის სივრცე ნებას არ მაძლევს, და-სავლეთ-ევროპიის ყველა სახელმწიფოების სახალხო სასწავ-ლებლები განვიხილო ვრცლად და თვითეულად, ამისათვის მკითხველის ყურადღებას მივაქცევ მხოლოდ ორის წარჩინე-ბულის სახელმწიფოების სახალხო სასწავლებელზედ—სახელ-დობრ გერმანიის და ინგლისის სასწავლებელზედ.

როგორც გერმანიაში, ისე ინგლისში ერთი და იგივე მსვლელობა ჰქონდა სასწავლებლის საქმეს. ამ ორივე წარჩი-ნებულ სახელმწიფოში სასოფლო სასწავლებელი დაფუძნდა მეთექვსმეტე საუკუნიდამ თავდა-პირველად იმ განზრახვით, რომ რა არი ხალხს შესძლებოდა ახალის სწავლის შესათვი-სებლად საღმრთო წერილის კითხვა, ლოცვების შესწავლა, ზიარების და ნათლიღების განმარტება. ერთის სიტყვით სა-სოფლო სასწავლებელი დაფუძნდა პირველად სასულიერო ნიადაგზე და სასულიერო მიმართულებით. ამის აღორძინებას, ამის კეთილდღეობას და ღრმად ფესვების გადგმას ცდილობდ-ნენ ახალის სარწმუნოების მომხრეები. (მე აქ მხოლოდ ახა-ლის სარწმუნოების მომხრეებზე და მათგან დაარსებულ სას-წავლებელზე ვლაპარაკობ და სახეში არა მაქვს იეზუიტების სასწავლებლები.) ბოლოს ორივე სახელმწიფოში სასწავლე-

ბის სწავლა სასოფლო სასწავლებლებში სრულებით ამაოა. ათის წლის განმავლობაში ჩვენი შვილები არამც თუ არა ხელოსნობას არ მიეჩვივნენ, არამედ უფრო სუბუქად დაუწყეს ცქერა ხელოსნობას. თუმცა მომავალში ამან უნდა მისცეს მათ ლუკმა-პური,—მიეჩვივნენ მასალის ხდენას, საქმის დაუდევრად კეთებას და ამასთანავე წერა-კითხვაც ვერ ისწავლეს". წარმომადგენელებმა ესეც ითხოვეს, რომ ხელოსნობა და აგრეთვე მეურნეობა მათის შვილებისათვის ესწავლებინათ სრულებით სხვა გზით. მალეც გამოიკვლიეს ეს სხვა გზა. ყველა სოფლის საზოგადოება სასწავლებელში კურს შესრულებულებს აძლევდა შეგირდად გამოჩენილ ხელოსნებს რამდენიმე წლობით და სხვა და სხვა პირობებით. ხელოსნები სვინიდისიანად იქცეოდნენ და მთელი ინგლისი მალე მოიფინა ხელოსანის კაცებით. ამას ესეც დაუმატეს ბოლოს, რომ სხვა და სხვა ადგილებში მუშა ხალხს ასწავლიდნენ დაბიურ ენაზე საგნებს ხელოსნობის შესახებ. ასეთი წესი იყო ინგლისში 1867 წ. და იქნება ეხლაც ამნაირი წესია. რაც შეეხება გერმანიას, აქაც სრულებით მოაშორეს სასოფლო სასწავლებელს ხელოსნობის და მეურნეობის შესწავლა. გერმანიაში აი რა წესია: ყმაწვილები ჯერედ სწავლობენ სასოფლო სასწავლებელში; სწავლის გათავების შემდეგ აქ ისინი შედიან სხვა და სხვა სახელოსნო და სამეურნეო სასწავლებელში; მაგრამ ამავე დროს სწავლის შესასრულებლად კვირაში ანუ ორჯერ, ანუ სამჯერ ბეჯითად დაიარებიან სწავლის გასაგრძობს სასწავლებელში. ამ გვარის სასწავლებლებით მოფენილია ეხლა მთელი გერმანია.

ეს მოკლედ მოყვანილი მსველელობაც სასოფლო სასწავლებლისა გერმანიაში და ინგლისში ნათლად ამტკიცებს იმ ჭეშმარიტებას, რომ წერა-კითხვისა, ხელოსნობის და მეურნეობის არევა ერთად დომხალივით შეუძლებელი საქმეა, რომ სასოფლო სასწავლებელს თავისი საკუთარი საგანი აქვს და მხოლოდ ამ საგნის განხორციელებას უნდა მიზდევდეს იგი.

რაც შეეხება კიდევ ხელოსნობის და მეურნეობის შესწავლას, ამის გზა სრულებით სხვა უნდა იყვეს.

IV

თუ მეურნეობის და ხელოსნობის შესწავლა სასოფლო სასწავლებელში მოუფიქრებელი საქმეა, მაშ სასოფლო სასწავლებელი რა აზრს უნდა მიზდევდეს და როგორ უნდა იყვეს მოწყობილი?

სასოფლო სასწავლებელმა უნდა განაღვიძოს მოწაფეებში ყველა სულიერი ძალა, ამოქმედოს ბავშვების ნიჭიერებანი, შეაჩვიოს მსჯელობას და ამა მსჯელობის და მაგალითის შემწეობით დააყენოს ისინი წმინდა ზნეობით გზაზე, მიაჩვიოს გაფთხილებას, სიფაქიზეს და სისუფთავეს; აგრეთვე სასწავლებელმა ბავშვების ჭკუა-გონება უნდა შეავსოს ნამდვილის ცნობებით ბუნების შესახებ — ერთი სიტყვით სასოფლო სასწავლებელმა სხვა და სხვა გონივრულის სახსრებით, მეთოდიურ და დიდაკტიურ შუამავლობით სოფლის ყმაწვილები ფიზიკურათ და სულიერათ იმნაირათ უნდა მოამზადოს, რომ ისინი შეიქმნენ ბოლოს ჭკუა-დამჯდარი კაცები, ყველაფრის ადვილად გამგებნი, რომ კურსის გათავების შემდეგ დიდის სიამოვნებით ეძიებდნენ სწავლის გაგრძელებას და სიყვარულით მიზდევდნენ დაბიურ ენაზე დაწერილ წიგნების კითხვას; შეეძლოთ თამამათ ბაასი და ლაპარაკი იმ საგნებზე, რომლებიც იმათ გარეშემო ახვევიათ და კრიტიკულად გარჩევა იმ ცრუ-მორწმუნოების, რომლებითაც აგრე სავსეა გლეხის-კაცის ცხოვრება. აი ეს უნდა იყვეს სასოფლო სასწავლებლის მიზანი და აი ამას უნდა მიზდევდეს ის განუწყვეტლივ. რაც შეეხება საგნებს, რომლებსაც უნდა ასწავლიდნენ სასოფლო სასწავლებელში, ეს საგნები უნდა იყვნენ შემდეგნი: წერა-კითხვა, ხაზვა (черченіе), თვლა, საღმრთო ისტორია, ზოგი ერთი ლოცვები, ქართული ენა, მოთხრობები ჩვენის სამშობლო ისტორიიდამ, (რასაკვირველია — მასწავლებლის ყურა-

დღება, უნდა იყვეს მიქცეული უფრო დავით აღმაშენებელზე, თამარ-დედოფალზე, ირაკლის და სხვა გამოჩენილ საქართველოს მეფეებზე), ხალხის სიმღერები, დაკვირვებითი სწავლა, (Наглядное обученіе), და გეოგრაფიული ცნობები და უფრო საქართველოს გეოგრაფია. აგრეთვე სოფლის თვით-მართველობის (Самоуправленіе) წესდებანიც არ უნდა დატოვებულ იქმნას უყურადღებოდ. ამას გარდა, რადგანაც საქართველოს ბედი შეკავშირებულია რუსეთის ბედთან და რუსული ენა შეადგენს ადმინისტრაციის ენას, ამისათვის რაღა ლაპარაკი უნდა, რომ სასოფლო სასწავლებელში რუსულს ენასაც უნდა ასწავლიდნენ. ამ ენის შესწავლას ბავშვები უნდა შეუდგნენ საქმით და დაკვირვებით მეორე წელიწადის უკანასკნელ თვეებში, როცა კარგად იქნებიან დახელოვნებულნი ღვიძლის ენის წერა-კითხვაში. ხოლო მესამე წელიწადს კი უნდა შეუდგნენ რუსულის ენის წერა-კითხვის შესწავლას. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ სასოფლო სასწავლებელმა ყოველი-ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ ბავშვებს გაუადვილოს უცხო ენის შესწავლა და უდროვოთ სწავლით არ დახშას მათი ნიჭიერებანი; რომ ბავშვები არ დაუძლურდნენ, აგებულებით არ დასუსტდნენ და ამით მათი გონება და გულის-ყური არ დაიძალოს და არ დაჩლუნგდეს. სასოფლო სასწავლებელი უნდა ავარჯიშებდეს მათ ფიზიკობრივის მოქმედებითა, რომ მათმა აგებულებამ ჯეროვანი ზრდა და განვითარება მიიღოს, ამ საქმეში ძრიელ გამოსადეგი იქნება ბაღი სასწავლებლის წინ. რასაკვირველია, ამ ბაღს ის მნიშვნელობა კი არ ექნება, რომ რა არი ბავშვებმა აქ შეისწავლონ მეურნეობა. არა, ამას ის დანიშნულება ექნება, რომ ბავშვები აქ იმუშავებენ და ამ სახით თვის აგებულებას ძალი და სიმაგრე მიჰსცენ და მით მომზადებულ იქმნან სოფლის მძიმე მუშაობისათვის.

სწავლის შეთვისებაში, სულისა და აგებულების განვითარებისათვის, ერთის სიტყვით—ბავშვების რიგიანად მომზა-

დებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენ წელიწადს დარჩებიან იგინი სასწავლებელში. ამ საგნის შესახებ ევროპიის სხვა და სხვა სახელმწიფოში სხვა და სხვა წესია. მაგალითად, საქსონიაში ყმაწვილები სწავლობენ სასოფლო სასწავლებელში ანუ პირველ დაწყებით სასწავლებელში, რვა წელიწადს, ექვსის წლიდამ მოკიდებული; პრუსიაშიაც თითქმის ამდენია; ინგლისში კი ნაკლებია—ხუთ ანუ ექვს წელიწადზედ მეტს არ არჩენენ ყმაწვილებს სასწავლებელში. რაც შეეხება რუსეთს აქ ერთ კლასიან სასწავლებლებში ბავშვები რჩებიან სამ წელიწადს, ორ კლასის სასწავლებელში კიდევ ხუთ წელიწადს. რადა თქმა უნდა, რომ ბავშვების დარჩენა სასწავლებელში ექვს-შვიდ წელიწადს კარგი საქმეა, მაგრამ დაბალს ხალხს საერთოდ და ჩვენ ხალხს საკუთრივ არ შეუძლიან დიდის ხნობით მოიშოროს შვილები და ამასთანავე აქ სოფლების მდგბარეობა იმ გვარია, რომ ექვსის წლის ბავშვებს ვერ შეუძლიანთ სასწავლებელში სიარული. ამის გამო ჩვენ უნდა დავჯერებულიყავით სამ წელიწადს, ერთ კლასიან სასწავლებელში და ხუთ წელიწადს ორ კლასიანში; მაგრამ რადგანაც საქართველოს სასოფლო სასწავლებელმა ბევრად, თუ ცოტად უნდა შეასწავლოს ბავშვებს ადმინისტრატიული ენაც ე. ი. რუსული ენა, ამისათვის აქ საქართველოში სამის წელიწადის მაგიერათ ბავშვები უნდა დარჩნენ ხოლმე ოთხ-ოთხი წელიწადი ერთ კლასიან სასწავლებელში და თუ სადმე მოინდომეს ორ კლასიან სასწავლებლის გამართვა, იქ ბავშვები უნდა დარჩნენ ექვს წელიწადს.—რადგანაც ახლად კეთდება სასწავლებლები, ამისათვის არ შეიძლება დავაწესოთ, რომ მხოლოდ შვიდი წლის ანუ რვა წლის ბავშვებმა უნდა დაიწყონ სწავლაო. სასწავლებელი უნდა გაიღოს ორივე სქესის ბავშვებისათვის, მხოლოდ ეს ბავშვები ხნით შვიდ წელიწადზედ ნაკლები და თორმეტ წელიწადზედ მეტი არ უნდა იყვნენ. სასოფლო სასწავლებელმა უნდა იქონიოს დაახლოვებითი კავშირი როგორც კურს შესრულებულებთან, ისე ყველა წერა-კითხვის მცოდნე გლეხთან. ეს კავშირი იმაში

უნდა მდგომარეობდეს, რომ სასოფლო სასწავლელმა იმათ აძლიოს ხოლმე საკითხავად ადვილი გასაგები და მათთვის სასარგებლო წიგნები, აი ამისათვის სასოფლო სასწავლებელს უნდა ჰქონდეს თავისი ბიბლიოთეკა, რამდენათაც შესაძლოა სრული საკითხავის და სასარგებლო წიგნებითა, როგორც მოზრდილებისათვის, ისე მოზარდე ყმაწვილებისთვის გამოსაყენებითა. რასაკვირველია, ურიგო არ იქნება და ადვილი მოსახერხებელიც არის, რომ ამ ბიბლიოთეკასთან იყვეს მოწყობილი „სახალხო საკითხავი ადგილი“, სადაც გლეხებს შეეძლოთ თავის მოყრა და წიგნების კითხვა.

V

წარმოვიდგინოთ, რომ სასოფლო სასწავლებელი მოიმართა ისე, როგორც სანატრელია, რომ იგი თავის გზას მიზდევს განუწყვეტლივ და გვიმზადებს ბავშვს გონივრულათ, განა მარტო ეს დააკმაყოფილებს ჩვენის ხალხის მოთხოვნილებას? არა. ბუნებით მდიდარ საქართველოს მცხოვრებლებს ხელიდამაც უნდა გამოზდიოდეთ რამე. აი ამისათვის მკითხველების ყურადღებას მივაქცევ იმაზე, თუ რა გზით შეიძლება გონივრულის ხელოსნობის და მეურნეობის გავრცელება საქართველოში.

ჯერეთ ავიღოთ ხელოსნობა. როგორც ზემოთ შევნიშნე, ხელოსნობის გავრცელება ხალხში სასოფლო სასწავლებლის შემწეობით მოუფიქრებელი საქმეა, ამას უნდა ჰქონდეს სრულებით სხვა გზა და აი, ჩვენის აზრით, ეს გზა კიდევ: ჩვენ ბედზე ქალაქში ამ ჟამათ მოიპოვებიან გამოჩენილი ხელოსნები. აქ ნახავთ თქვენ გამოჩენილ მეჩექმეს, დერციკს, დურგალს, მებელის მკეთებელს, კალატოზს, მჭედელს, ერთი სიტყვით სხვა და სხვა გამოჩენილ ხელოსანს, ამ გამოჩენილ ხელოსნებს შორის ქართველებიც ურევიან. ვის არ გაუგონია დერციკის ანდრია კაპანაძის სახელი, ანუ კიდევ სახლის მოწყობილობის—მებელის მკეთებელის—დავ. გიგაურისა. ეს

უკანასკნელი კაცი ისეთი დახელოვნებულია თავის საქმეში, რომ არც ერთი უცხო ქვეყნიდამ მოსულთაგანი ამას ვერ სჯობიან და ყველა ცდილობს იგი ან ამხანაგათ გაიხადოს, ან კიდევ ჯამაგირით დაიჭიროს. თუ ეს ასეა, თუ გვარიანი ხელოსნები მოიპოვებიან ჩვენ თბილისში, მაშ რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენ შეგვიძლიან თამამათ დავადგეთ საქმიანს და ნამდვილ გზას ხელოსნობის შესასწავლებლად.

ვთქვათ ყმაწვილებმა შეასრულეს სასწავლებელი და აი მათ შორის არიან ეულ—კაცების შვილები. ეს ბავშვები უნდა ჩამოიყვანოთ ქალაქში და მივაბაროთ შეგირდებათ გამოჩენილ ხელოსნებს—ზოგი დერეიკს, ზოგი დურგალს, ზოგი მჭედელს, ზოგი მებელის გამკეთებელს, ზოგი კიდევ სხვა და სხვა ხელოსნებს. რასაკვირველია, ხელოსნებს კარგი პირობები უნდა დავუდოთ. შეგირდები იმათთან უნდა იყვნენ სამი წელიწადი. ამ სამის წლის განმავლობაში უნდა შეისწავლონ მათ თავიანთი ხელობა. სამი წლის შემდეგ შეგირდები უნდა გამოიცადნონ და თუ გამოჩნდება, რომ მათ გვარიანად შეუსწავლიათ ხელოსნობა, მაშინ ქარგლებათ დარჩებიან თავიანთ ოსტატებთან, ორ ორი წელიწადი გამოცდილ ქარგლებზედ ცოტა ნაკლებ ფასად. ქარგლის ჯამაგირიდამ ოსტატი ორ წილს თვითონ ქარგალს მისცემს და ერთ წილს განათლების სასარგებლოდ გადასდებს. ახლა იკითხამ, თუ რამ უნდა შეინახონ ბავშკები ანუ შეგირდები იმ სამის წლის განმავლობაში? რადგანაც ოსტატები მათ პირველად არავითარ ფასს არ მიჰსცემენ, ამისათვის ისინი დიდის სიამოვნებით იკისრებენ მათ სმა-ჭამას და ჩაცმა-დახურვას. თუ არა ვცდები, ხელოსნებ შორის ამ გვარი წესი დღესაც არის. რომ რა არი ხელოსნები სინიდისიანათ მოიქცნენ, ცემა-ტყეპაში არ ამოართვან ჩვენ მიბარებულ შეგირდებს სული და კაცურად მოეპყრან, ასეთი წესი უნდა დაარსდეს: იმ ოსტატებს, რომლებიც თავიანთ პირობეებს კარგად ასრულებენ და ბავშვებს გვარიანად მოამზადებენ, უნდა მიეცეთ ჯილდოები და

მოწმობაები კეთილ-სვინიდისიანობისა და მოვალეობის კეთილად აღსრულების წიშნად. ამასთანავე მათი სახელები აქაურს გაზეთებში ქებით უნდა გამოცხადდეს ხოლმე. ერთის სიტყვით, მათ წასაქეზებლად შეგირდების მომზადებაში ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ. ეჭვი არ არის, რომ გამოჩენილ ხელოსნებთან ნასწავლი შეგირდები მალე მოჰფენენ ჩვენ სამშობლოში ხელოსნობის სწავლას და ეგრე რიგათ აღარ შევხვდებით იმ გულ-საკვდავს, იმ სულის აღმშფოთებელ სურათს, რომელსაც წარმოგვიდგენს ხოლმე ეხლა ეული კაცი ანუ კიდევ ძრიელ მცირე მამულის პატრონი და არც იმას, რომ გაგვიტყდება, თუ წაგვიხდება რამე, გამკეთებელს ვერსად ვიშოვით და თუ ვიშოვით იმასაც ცრუს, ფლიდსა და უცოდინარს.

აბა ახლა მივმართოთ მეურნეობის გავრცელების გზას საქართველოს მცხოვრებლებ შორის.

საქართველოს მთები, მინდვრები, ღელეები, წყალი, მიწა, ჰაერი, ერთი სიტყვით საქართველოს ბუნებითი სიმდიდრე ყველა ნაბიჯზე ჩასჩიჩინებს კაცს, რომ იმან აქ მეურნეობით უნდა იცხოვროს, რომ იგი რიგიანის მეურნეობით დიდ სიმდიდრეს შეიძენს. დაუმატოთ ამას იცსიც, რომ აქაური მიწა-წყლის პატრონები, უნამეტნავესად სოფლებში არიან ქართველები. მართალია უკანასკნელ წელიწადებში ვაჭრებმა ბევრი მამული შეიძინეს, მაგრამ მაინც ქართველები არიან მიწის თავი მფლობელები. ამ გარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მით უფრო, რომ თავად-აზნაურობას გარდა ბევრ გლეხებსაც ეკუთვნის მიწა-წყალი. მართლაც ჩვენ მეფეებს მარტო თავად-აზნაურობისათვის არ უძლევიათ მიწის მფლობელობა; იმათ ბევრი გლეხიც უსაჩუქრებიათ დედულ მამულით. ხშირათ შეხვდებით გლეხს ქართლში და კახეთში, რომელსაც ნაბოძები აქვს მიწა-წყალი რომელიმე ქართველის მეფისაგან, აგრეთვე ბევრ გლეხს შეუძენია მამული ყიდვით სხვა და სხვა დროს თავად-აზნაურობისაგან. ეხლაც ბევრი გლეხი ყიდულობს საბატონო მამულს ქართლში უფრო

კავთისხევში, გომში, მეტეხში, ახალქალაქში, ქარელში და სხვა გორის ახლო-მახლო სოფლებში. ამ უკანასკნელ წელიწადებში რამდენმა გლეხმა შეისყიდა მამული თავადებისაგან! იმას ნუღარ ვიტყვით, რომ ბევრ გლეხს უჭირავს საბატონო, საეკლესიო და სახელმწიფო მამული, ასე რომ რიცხვი ეულის კაცებისა სრულებით მცირეა საქართველოში. თუ ეს ასეა, მაშ რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ყველა ჩვენი ძალა მიქცეული უნდა იყვეს რიგიანის მეურნეობის გავრცელებაზე მწარმოებლებ შორის, ესე იგი, მხვნელ-მთესველებს შორის, რომლებზედაც არის დამოკიდებული საქართველოს ბედი.

VI

ნუ თუ ჩვენ კიდევ უნდა ვეძებდეთ სხვა და სხვა სახსრებს მეურნეობის გასავრცელებლად, როდესაც საქართველოს დედა-ქალაქში იმყოფება მთელი საზოგადოება იმ განზრახვით, რომ შემოიტანოს მიწის გონივრული მუშაობა, სხვა და სხვა მცენარეების გავრცელება, ღვინის უკეთ კეთება, ერთი სიტყვით იმ განზრახვით რომ მეურნეობა დააფუძნოს იმ საძირკველზე, რა საძირკველზედაც იგი დგას დასავლეთ ევროპაში? უბედურობა ის არის, რომ ეს საზოგადოება ოცდა-ხუთი წელიწადია მოქმედებს და ამის მოქმედებას მაგდენი არაფერი სარგებლობა მოუტანია. ეს აღიარა თვით ამ საზოგადოების „სეკრეტარმა“ (მდივანი) საზოგადოების წინაშე. საზოგადოებას ოცდა-ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ის უკეთებია, რომ ურიგებია შესაწევარი ფულები სხვა და სხვა ახალ-მოსულებისათვის, უბოძებია ოცი-ათასი მან. (20,000) ერთის ვიღაც ნემეცის ადამიანისათვის. ხუთმეტი ათასი (15,000) ფრანციელის დიუფორისათვის, თორმეტი ათასი (12,000) ინგლისის ვალისათვის, ოცი ათასი მანეთი (20,000) ბარონ კუჩენბახისთვის და კიდევ რამდენიმე ათასი სხვა და-სხვა ვაჟბატონებისათვის. ახლა იკითხეთ, თუ ამისთანა ხელ-გაშლილს შესაწევარს, ამისთანას უხვად გაცემას რა სარგებლობა მოუტანია ჩვენის

მხვნელ-მთესველებისათვის? არაფერი, ამას აღიარებენ თვითონ საზოგადოების წევრნიცა. იმას გარდა, რომ საზოგადოებას თავის მიზნად ჰქონია ქვეყნის სიკეთის სურვილი, სხვა და სხვა ევროპიულ ნივთთა გამოფენაშიაც მონაწილეობა რამდენჯერმე მიუღია. მაგრამ საუბედუროთ, არც ამ გვარ მოქმედებას მოუტანია სარგებლობა ჩვენის მეურნეობისათვის. ასე, კავკასიის, სამეურნეო საზოგადოებას ოცდა-ხუთი წლის განმავლობაში უმოქმედნია, მაგრამ უმოქმედნია იმ გვარათ, რომ ჩვენის მხარისთვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. საზოგადოების აწინდელი „სეკრეტარი“ დიდ იმედს იძლევა, რომ მომავალში საზოგადოებაც ეცდებაო სარგებლობა რამ მოუტანოს ჩვენს მხარესა. რასაკვირველია დიდათ საამური იქნება, რომ ეს იმედი აუსრულდეს, მაგრამ მე კი საეჭვოთ მიმაჩნია. რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ საზოგადოებამ, უფ. „სეკრეტრის“ სიტყვით და რჩევით მიიწვიოს მხარის მცოდნე კაცები და ამათის დახმარებით ცოტ-ცოტაობით მაინც გვარიანად გაიცნოს მეურნეობის მდგომარეობა ჩვენ ქვეყანაში; შეადგინოს მშვენიერი ბიბლიოთეკა და ჰბეჭდოს დრო-გამოშვებითი წიგნები, სადაც მოიხსენიოს სხვა და სხვა ღონისძიებანი მეურნეობის გასაუმჯობესებლად, წინ-წასაწევათ; კარგი თხზულების დამწერთ დანიშნულ საგნებზე აძლიოს ჯილდოები. აგრეთვე შესაძლებელია, რომ ხაზოგადოება დაეხმაროს დრო-გამოშვებით გამოფენის გამართვასა და აძლიოს საჩუქრები იმათ, ვინც გამოფენაზე წარმოადგენს შესანიშნავ და უკეთესს ნამუშავარს; აგრეთვე შესაძლოა, რომ საზოგადოებამ გამართოს ცალკე სამეურნეო სასწავლებელი პრაკტიკულის მიმართულებით, მაგრამ ჩვენ ხალხს კი არა მოეცხობა რა ყოველ ამისაგან- გლეხი ვერც წიგნით ისარგებლებს, ვერც სხვა ღონისძიებით. ყველა ეს ღონისძიებანი შეიძლება მოუხდეთ დიდის მამულების პატრონებს; მაგრამ ჩვენ გლეხ-კაცობას კი, ე. ი., იმას ვინც თვითონ მუშაობს, თვითონ ხნავს, ჰსთესავს, ჰბარავს, ჰსხლავს, ჰყელავს, ვენახს უვლის, მისდევს

ხარ-კამეჩს, ძროხებს, ცხვრებს, ღორებს—ერთის სიტყვით—ვინც თვითონ ირჯება, ის ვერასფერს ვერ გამორჩება ზემოხსენებულ ღონისძიებას. იმ სახელმწიფოების მიბაძვა, სადაც მეურნეობამ გაიწია დიდის მამულების პატრონების წყალობით, ჩვენ ხელს არ მოგვცემს და არც იმისთანა მამულების პატრონები გვყვანან, როგორც, მაგალითებრ, ინგლისში. ჩვენ მეურნეობა უნდა გავავრცელოთ ხალხში და მცირე მამულების პატრონებ შორის. მხოლოდ ვისაც დიდი დედულ-მამული აქვს, იმას ჩვენი შემწეობა სრულებით არ უნდა, იმას უჩვენოდაც შეუძლიან მიიწვიოს დახელოვნებული აგრონომი და იმის შემწეობით საქმე კარგად წაიყვანოს. აგრეთვე შესაძლებელი საქმეა, რომ სამეურნეო სასწავლებელმა პრაკტიკულის მიმართულებით სარგებლობა რამ აღმოუჩინოს ჩვენ ხალხს, მაგრამ აი რა უნდა ვიქონიოთ სახეში. ჩვენში მხოლოთ სიტყვით ვარქმევთ სახელს ანუ სიტყვით ვეძახით „სასწავლებელს პრაკტიკულის მიმართულებით, საქმით კი თეორიის სასწავლებელია“- ამას გარდა განა შესაძლებელი საქმეა, რომ ერთსა და იმავე სასწავლებელში მიწის მუშაობის ყველა ნაწილები იმ ხარისხზე დააყენოთ, რა ხარისხზედაც დგას დასავლეთ ევროპაში! ან საიდამ მოიყვანთ იმისთანა კაცებს, რომლებმაც ზედმიწევნით იცოდნენ მეურნეობის საქმე? ნუ თუ ამ საქმეს მივანდობთ იმ მწიგნობართ სწავლულებს, რომლებიც მხოლოდ ბევრ ფულებს ჩაჰყლაპავენ და ჩვენს მეურნეობას კი წინ ფეხსაც არ წაადგმევინებენ. ვიმეორებ სამეურნეო სასწავლებელს, პრაკტიკულის მიმართულებით, შეუძლიან სარგებლობა მოუტანოს ჩვენ სამშობლოს. მაგრამ შიში იმაში მდგომარეობს, რომ სასწავლებელი პრაკტიკულის მიმართულებით ძალა-უნებურად ადვილად გადაიქცევა სასწავლებლად თეორიის მიმართულებით და მაშინ ჩვენის ხალხისათვის შეიქმნება სრულებით უსარგებლო. რასაკვირველია, თუ ნამდვილ სამეურნეო სასწავლებლებს ნამდვილის პრაკტიკულის მიმართულებით დააფუძნებენ საქართველოს სხვა და სხვა ადგილას

და ამ სასწავლებელში დახელოკნებულ მუშებს დააყენებენ საწრთვნელად ჩვენის ყმაწვილებისა. რომელთაც სასწავლებელში კურსი შესრულებული ექმნებათ, მაშინ მალე გავრცელდება ხალხში მეურნეობის ცოდნა. მაგრამ საზოგადოებას არა აქვს ეს აზრათ და ამის აღსრულებას ვერც შეიძლებს.

ასე თუ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ წარსულ წვლიწადებში მაგდენი ვერაფერი სარგებლობა მოიტანა და მომავალშიაც იქიდამ, რაც წარუდგინა აწინდელმა უფ. „სეკრეტარმა“ საზოგადოების წევრთა, ჩვენს ხალხს არა მიეცხება რა. თუმცა კი მეცნიერების სასარგებლოთ ბევრი რამ კარგი წარმოსდგება, მაშასადამე ჩვენ თვითონ უნდა მოვიფიქროთ ჯ ვიტვირთოთ მეურნეობის ცოდნის გავრცელება ჩვენს ხალხში. ყურის წაყრუება ამისთანა საქმეში ჩვენ ხელს არ მოგვცემს.

ვინ არ იცის, რომ ხალხში ძრიელ მოქმედობს მიბაძვა და რასაც ხეირიანს რასმე აკეთებს ერთი გლეხი მეორეც მიჰბაძავს, რომ გლეხები ცდილობენ ერთი-ერთმანეთს არაფერში ჩამორჩნენ; რომ გლეხები რასაც კარგს თვალით ხედავენ, იმას მალე იხსომებენ, და ცდილობენ თვითონაც გააკეთონ. წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე გლეხმა ისწავლა წითელის კომბოსტოს მოყვანა და თავისი ნამუშავარი კარგა ფასად გაჰყიდა. ნუ თუ იფიქრებთ, რომ მეორე წელიწადს ეს კომბოსტო სხვა გლეხებმაც არ მოიყვანონ. აგრეთვე ვთქვათ თამბაქოს დათესვამ ანუ მოყვანამ მისცა ხელი რომელსამე გლეხს; მეორე წელიწადს სხვა გლეხებიც უთუოდ შეეცდებიან კარგი თამბაქო მოიყვანონ და კარგ ფასად გაჰყიდონ. ერთის სიტყვით—გლეხებში ერთი-ერთმანეთის მიბაძვა და მხედველობით მოქმედება ძლიერია. თვითეულ სოფელში რომ გამოჩნდეს თითო მეურნეობის მცოდნე გლეხი. ბევრი ხანი არ გაივლის, რომ მთელ მაზრაში გავრცელდეს მეურნეობის ცოდნა. აგრეთვე, აბა თამამი და გონებით გახსნილი გლეხი წაიყვანეთ და გაუშვით ‘ამუშაოდ იმ ადგილას, სადაც მეურნეობის საქმე კარგად მი-

დის, თქვენ ნახავთ, რომ ეს გლეხი, ორის წლის განმავლობაში რასაც თვალით ნახავს და რაზედაც იმუშავებს, ყველაფერს შეისწავლის. რაღა თქმა, უნდა, რომ ეს გლეხი როცა თავის ქვეყანაში დაბრუნდება, თავის სწავლას მოახმარებს მამულის უკეთესად შემუშავებას.

თუ ეს ასეა, მაშ ჩვენ უნდა ვეცადოთ მოვდოთ საქართველოში მეურნეობის მცოდნე მუშები. მხოლოდ ამის ასრულება შეიძლება შემდეგის სახით: ზემოდ ვაჩვენე, თუ როგორ უნდა მოიწყოს სასოფლო სასწავლებელნი. ამ გვარ სასწავლებელში კურს შესრულებულებ შორის უნდა ამოვარჩიოთ ხოლმე თამამი, ნიჭიერი, ჯანმრთელი ყმაწვილები, უფრო მამულიანის კაცების შვილები და გავგზავნოთ დასავლეთ-ევროპიის სახელმწიფოების იმისთანა ადგილებში, სადაც მეურნეობის რომელიმე ნაწილი კარგად მიდის, რომ რა არი ზოგმა მათგანმა შეისწავლოს ღვინის დაყენება, ანუ ვენახის მუშაობა, ზოგმა ჭიის მოვლა და აბრეშუმის გაკეთება, ზოგმა ხეხილების მოვლა, ზოგმა თამბაქოს მოყვანა, ზოგმა კიდევ სხვა და სხვა სოფლიური საქმე. ჩვენმა ყმაწვილებმა თვითონ უნდა იმუშაონ ფერმაში სამ-სამის წლობით მაინც და ამ ხნის განმავლობაში, რაღა თქმა უნდა, თვითეული მათგანი მოასწრობს შეისწავლოს ის თვალით ნახული, თავისითვე გამონაცადი საქმე, რომელზედაც ის იქმნება მიჩენილი. ფერმების პატრონები ჩვენ ყმაწვილებს, რასაკვირველია, მიიღებენ, მხოლოდ ჩვენის ხარჯით კი. თითო ყმაწვილის შენახვა ფერმაში რაც უნდა ბევრი დაჯდეს ჩაცმა-დახურვით და სმა-ჭამით ორ თუმანზე მეტი თვეში არ დაჯდება- მაშ წელიწადში თუ ათი ყმაწვილი იგზავნა სამძღვარ გარეთ, პირველ წელიწადში ათი ყმაწვილის შენახვას მოუნდება 2,400 მან წასვლაზედაც 700 მანეთი; მეორე წელიწადს ოცი ყმაწვილის შენახვას 4,800 მან. და ათი ყმაწვილის წასვლაზე კიდევ 700 მანეთი; მხოლოთ მესამე წელიწადს ოცდა-ათი ყმაწვილის შენახვას 7,200 მან და 700 მან. კიდევ ათი ყმაწვი-

ლის გაგზავნაზე დაიხარჯება. რადგანაც ყოველ მესამე წლის ბოლოს ათ-ათი ნასწავლი, მეურნეობაში დახელოვნებული ყმაწვილი უნდა დაბრუნდეს ხოლმე, ამისათვის ამ მესამე წელიწადის ბოლოს 700 მან. ათი ყმაწვილის დაბრუნებაზე სამძღვარ-გარეთიდამ დაიხარჯება. ასე, პირველ სამის წლის შემდეგ ყოველ წლივ ოც-და-ათი ყმაწვილის შენახვაზე სხვა-დასხვა ფერმებში დაიხარჯება 7,200 მან. და 1,400 მან. ოცი ყმაწვილის მგზავრობაზე, რადგანაც ათი საქართველოდამ უნდა გაიგზავნოს და ათი კიდევ სამძღვარ-გარეთიდამ უნდა დაბრუნდეს ხოლმე. ეს ფული რომ ერთად შევკეცოთ, შეადგენს 8,600 მან. მართალია კარგა ფულია, მაგრამ ყოველ წლივ დაგვიბრუნდება ჩვენ ათ-ათი თავიანთ საქმეში დახელოვნებული მუშა კაცი. სამი წლის შემდეგ საქართველოს მხვნელ-მთესველებს თავიანთ შორის ეყოლებათ ისეთი კაცები, რომლებიც თავიანთის მოქმედებებით, თავიანთის ცხოვრებით, თავიანთის მოსაზრებით არაფერში ჩამოუვარდებიან დასავლეთ-ევროპიის მუშა ხალხს და მათი რიცხვი რამდენიც ხანი გავა, იმდენს იმატებს, რადგანაც ყოველ წლივ დაბრუნდებიან სამძღვარ-გარეთიდამ ათ-ათი კაცი. რაღა თქმა უნდა, რომ ესენი თავიანთ მოძმეებ შორის ადვილად გაავრცელებენ მეურნეობის ცოდნას, შეიქმნებიან მათი წინამძღომელნი, მათი წინა-მორბედნი მეურნეობის საქმეში. ძრიელ შესაძლებელია, რომ ამ სახით ხუთი ანუ ექვსი წლის განმავლობაში გლეხებმა იმდენი ცოდნა შეიძინონ დახელოვნებულის მუშებისაგან, რომ მათი ყოფა-ცხოვრება ძალზე შეიცვალოს.

ეჭვი არ არის, რომ თუ ზოგიერთი კურს შესრულებულები სასოფლო სასწავლებელში გავგზავნეთ სამძღვარ-გარედ გამოჩენილ ფერმებში სამუშავოდ, ძრიელ სასარგებლო საქმე

იქმნება ჩვენის ხალხისათვის. მაგრამ ვინ იტვირთებს ამ საქმეს და ვინც იტვირთებს—სად უნდა იშოვნოს იმოდენა ფული, რომ გაუძღვეს იმ ხარჯს, რა ხარჯსაც მოითხოვს მოხსენებულის საქმის აღსრულება? რასაკვირველია, ამის აღსრულებას უნდა შეუდგეს მთელი საზოგადოება და ამ საზოგადოებას უნდა დაერქვას შემდეგი სახელი: „საზოგადოება განათლებისა, ხელოსნობისა და მეურნეობის გავრცელებისა თფილისის გუბერნიის გლეხთა შორის“ *). ამ საზოგადოებამ უნდა იკისროს როგორც სასწავლებლების საქმე, ისე ხელოსნობის და მეურნეობის გავრცელება საქართველოში მოხსენებულის შუამავლობით. მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ყველა კუთხეში, საქართველოს ყველა მხარეში ასობით არიან იმ გვარნი პირნი, რომლებიც ნათლად გრძნობენ ჩვენის ხალხის საძაგელ მდგომარეობას და ჰფიქრობენ, თავიანთის მხრით რა და როგორ უშველონ. ვიმეორებ, მე დარწმუნებული ვარ, რომ რა წამს გამოაცხადებთ—ესა და ეს საზოგადოება იმართება ამა და ამ განზრახვით, ბევრი ხანი არ გაივლის, რომ რამდენიმე ასი კაცი მიიღებს მონაწილეობას ამ საქმეში; რომ ყველას, ვისაც კი ხალხის კეთილ-დღეობა ძვირად უღირს შეუდგება ბეჯითად ამ საქმის ხელის შეწყობას ყოველ მხრივ და ყოველ გვარად.

ვსთქვათ—გაიმართა საზოგადოება და ამისი წევრთა რიცხვი არის ექვსასი (600) კაცი; მაშასადამე საზოგადოებას ექნება ექვსასი თუმანი, თუ წევრის ფული იქნება წელიწადში ერთი თუმანი. ამას გარდა, ეჭვი არ არის, რომ კავკასიის

---

*) რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარივე საზოგადოება უნდა შედგეს ქუთაისის გუბერნიაში. ავტორი.

სამეურნეო საზოგადოება მიიღებს მონაწილეობას და, იმის მაგივრათ, რომ სხვა-და-სხვა გარმიანელებს ურიგოს შესაწევარი ფულები სრულებით უსარგებლოთ, იკისრებს რამდენიმე ყმაწვილის ხარჯს, ანუ ფულათ გამოადგება მომავალ საზოგადოებას—ორას თუმანს ხომ გადასდებს და გადასდებს მოხსენებულის კეთილის საქმისათვის. დაუმატოთ ამას ისიც, რომ სოფლის ბანკებიც არა დაზოგვენ ფულს მეურნეობის გავრცელებისათვის და ესენიც რამდენსამე თუმანს ყოველ წლივ შეაწევენ ზემოთ მოხსენებულ საზოგადოებას. რადა თქმა უნდა, რომ თავად-აზნაურობის ბანკიც აღმოუჩენს შემწეობას და ამ საქმეში უკან არ დაიწევს. ერთის სიტყვით, განათლების, ხელოსნობის და მეურნეობის გავრცელების საზოგადოება თფილისის გუბერნიაში მხვნელ-მთესველებს შორის ყოველგან შეიძლებს მოიპოვოს სხვა-და სხვა სახსრები იმოდენა ფულის საშოვნელად, რომ თავისი მიზანი ბეჯითად და შეურყეველად აასრულოს.

ამ სახით, რაც ფულს შეეხება საზოგადოების მოქმედება სრულებით შესაძლებელია. რაც შეეხება საზოგადოების შინაგან განწყობილებას, სახელდობრ მას, თუ რაგვარი წესდებანი უნდა შედგენილ იქმნას, რომ საწადელი აუსრულდეს, რა სახით შეიტყოს ნამდვილი ამბავი გამოჩენილ ფერმებზე დასავლეთ ევროპაში,—როგორ უნდა მოეწყოს ზოგის ყმაწვილის სამზღვარ-გარეგ გაგზავნა, ზოგის აქავ მიბარება გამოჩენილ ხელოსნებთან, — ყველა ამას და სხვა საჭირო საკანსაც თვითონ საზოგადოება გამოიკვლევს, თუ ბედი გვეპყრა და ეს საზოგადოება დაიბადა. მე მხოლოდ აქ ის უნდა თქვა კიდევ, რომ დრო არის თვითონ ჩვენ ვიფიქროთ ჩვენ თავზე, ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრების წინ-წაწევაზე და მის

მომავალ ბედზე; დროა თვითონ ჩვენ ჭეშმარიტ ხელი გან-
ბის, ხელოსნობის და მეურნეობის გავრცელებას და ყ
ნაბიჯზე ვიგულისხმოთ, რომ ცოდნა არის საძირკველი
ხის კეთილ-დღეობისა. უნდა გვახსოვდეს, რომ ყურის
რუება ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის*).

26 მარიამობისთვეს 1877 წ.

*) ეს წერილი დაბეჭდილი იყო 1877 წ. „ივერიის“ 33, 34, 35
36 და 37 №№-ში.